



შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო
უნივერსიტეტის
ეთიკისა და ქცევის კოდექსი

თბილისი
2019 წელი

შინაარსი

ეთიკისა და ქცევის კოდექსი3

მუხლი 1. მიზანი 3

მუხლი 2. მოქმედების ფარგლები3

მუხლი 3. კოდექსის ძირითადი პრინციპები 3

მუხლი 4. ქცევის წესები 4

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სანქციები)..... 6

მუხლი 6. დისციპლინური დევნა 6

მუხლი 7. პერსონალის დისციპლინურ საკითხთა განმხილველი კომისია..... 7

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის გაქარწყლება და მოხსნა..... 8

მუხლი 10. დისციპლინური პასუხისმგებლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების წესი და ხანდაზმულობის ვადა..... 8

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები 9

ეთიკისა და ქცევის კოდექსი

მუხლი 1. მიზანი

ეთიკისა და ქცევის კოდექსის (შემდგომში „კოდექსი“) შემუშავების მიზანია სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პერსონალისთვის სავალდებულო ქცევის ერთიანი წესების ჩამოყალიბება, რათა დაცული იყოს ორგანიზაციული კულტურის განვითარება, რომელიც დამყარებული იქნება ერთიანობაზე, სამართლიანობაზე, ურთიერთპატივისცემაზე და პროფესიონალიზმზე.

მუხლი 2. მოქმედების ფარგლები

კოდექსის მოქმედების ფარგლები ვრცელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალზე და განსაზღვრავს ქცევის სავალდებულო ნორმებს, დისციპლინურ გადაცდომებს და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს.

მუხლი 3. კოდექსის ძირითადი პრინციპები

1. უნივერსიტეტის პერსონალი, თავის პროფესიულ საქმიანობაში უნდა მოქმედებდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

1.1. სამართლიანობა, ჰუმანურობა, პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება;

1.2. თანამშრომლებისა და სტუდენტების მიმართ თავაზიანი მოპყრობა;

1.3. კონფიდენციალობისა და პერსონალური მონაცემების დაცვა;

1.4. სტუდენტების/პერსონალის მიმართ რაიმე სახის დისკრიმინაციული მოპყრობის დაუშვებლობა.

2. უნივერსიტეტის პერსონალი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებით მინიჭებული უფლებებით.

3. პერსონალი ვალდებულია დაიცვას კოდექსით გათვალისწინებული პრინციპები და საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებით დადგენილი წესები.

4. ამ კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია დამრღვევის მიმართ განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

პერსონალი ვალდებულია შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 4. ქცევის წესები

1. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია პატივისცემითი მოეპყროს თანამშრომლებს, სტუდენტებსა და გარემომცხოვრებებს, როგორც უნივერსიტეტში ასევე უნივერსიტეტის გარეთ, უნივერსიტეტის სახელით დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას. თავი აარიდოს კონფლიქტურ და არაპროფესიონალურ ქცევას. შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები გულდასმით და დაიცვას უნივერსიტეტის დებულებითა და ამ კოდექსით გათვალისწინებული პრინციპები.
2. არ დაუშვან დისკრიმინაცია თანამშრომლების, სტუდენტების და გარემომცხოვრებლების მიმართ, რასის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.
3. გაეცნონ საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის დებულებასა და უნივერსიტეტში მოქმედ სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებს. მუდმივად გაეცნონ სიახლეებს, რომლებიც არეგულირებენ პირდაპირ და არაპირდაპირ მათ საქმიანობის სფეროს. წარმართონ მათი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი აქტების შესაბამისად.
4. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია მუდმივად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე, ჩაერთოს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებში, გამაზადების პროგრამებში, კონფერენციებში, სემინარებში და ა.შ.
5. უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მოეთხოვება სწავლებისა და კვლევის დროს, ობიექტურობის, პატიოსნების, ანგარიშვალდებულების, სამართლიანობის პრინციპების დაცვა. პერსონალს ეკრძალება კვლევის შედეგების გაყალბება, გადაკეთება, სხვისი კვლევის შედეგების გამოყენებას ავტორის ნებართვის გარეშე.
6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს ეკრძალება აკადემიური პერსონალის, მკვლევრების აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა.
7. უნივერსიტეტის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან კონფიდენციალობა და არ გადასცენ სხვა პირებს ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს სამსახურეობრივი საქმიანობის შესრულების დროს. ასევე დაიცვან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისად.

8. უნივერსიტეტის თანამშრომელს ეკრძალება ქრთამის და საჩუქრების მიღება ნებისმიერი დაინტერესებული პირისაგან.
9. უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეკრძალებათ ალკოჰოლური სასმელების/ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური/ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნა.
10. უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეკრძალებათ უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში, მათ შორის საპირფარეშოებში, ვერანდაზე, აივნებზე, როგორც მოსაწევი ასევე არამოსაწევი თამბაქოს ნაწარმის მოხმარება. უნივერსიტეტში ასევე აკრძალულია ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის, როგორც ნიკოტინის შემცველი ასევე ნიკოტინის შემცველობის გარეშე მასალის/კატრიჯი/კაფსულა მოხმარება.
11. უნივერსიტეტის თანამშრომლები ვალდებული არიან მოუფრთხილდნენ მიზარებულ უნივერსიტეტის ქონებას. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, გადააბარონ მათზე მიზარებული ნივთები და რესურსი შესაბამის ანგარიშვალდებულ პირს.
12. უნივერსიტეტის თანამშრომელს ეკრძალება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გინება, უცენზურო სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმა.
13. თანამშრომელს ეკრძალება შიდაკომპიუტერულ ქსელში, კომპიუტერულ ტექნიკაში ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე შეღწევა დაცული ინფორმაციის მოპოვების, შეცვლის მიზნით ასეთი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, ასევე შიდასაუნივერსიტეტო ქსელში ვირუსის გაშვებით ან სხვა უკანონო ხერხით პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა ბაზის, ვებ-გვერდის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის დაზიანება.
14. თანამშრომელი ვალდებულია სამსახურში, შეხვედრებზე თუ სხვადასხვა ღონისძიებებზე გამოცხადდეს დროულად. ვალდებულია დააფიქსიროს სამსახურში გამოცხადება და სამსახურის დასრულება ტურნიკეტზე, ბარათის საშუალებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია, დროულად შეატყობინოს ლექციაზე გამოუცხადებლობის თაობაზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
15. თანამშრომლებმა უნდა იზრუნონ უნივერსიტეტის სახელის და იმიჯის დაცვაზე. არ გავრცელონ, როგორც სიტყვიერად, ასევე ონლაინ სივრცეში უნივერსიტეტის იმიჯის და სახელის შემლახველი ინფორმაცია.

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სანქციები)

1. ამ კოდექსის, შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის, მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, უნივერსიტეტის თანამშრომლის მიმართ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

- 1.1. ზეპირი ან წერილობითი გაფრთხილება;
 - 1.2. საყვედური;
 - 1.3. სტრუქტურულად დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა (არსებობის შემთხვევაში);
 - 1.4. ფინანსური ჯარიმა;
 - 1.5. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისაგან დროებით ჩამოშორება.
 - 1.6. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და ხელშეკრულების შეწყვეტა.
2. ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 6. დისციპლინური დევნა

1. ამ კოდექსის, შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის თანამშრომლის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება.

2. თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, სამართლიანი პროცედურის გზით.

3. წესების დარღვევის ფაქტზე თანამშრომლის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს და სტუდენტს.

4. წესების დარღვევის შემთხვევაში, თანამშრომელი/სტუდენტი უფლებამოსილია დააყენოს წესების დამრღვევის პასუხისმგებლობის საკითხი, პერსონალის საკითხების განმხილველი დისციპლინური კომისიის წინაშე.

5. პერსონალის საკითხების განმხილველი დისციპლინური კომისია, უფლებამოსილია დააკისროს სხვადასხვა სანქციები, უნივერსიტეტში მოქმედი წესების დამრღვევ პირს.

6. უნივერსიტეტის თანამშრომელს უფლება აქვს:

- 1.1 მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;

- 1.2. დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- 1.3. მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- 1.4. მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- 1.5. მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

მუხლი 7. პერსონალის დისციპლინურ საკითხთა განმხილველი კომისია

1. დარღვევის ფაქტის გამოსაკვლევად და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსასაზღვრად უნდა შეიქმნას, კომისია, რომლის შემადგელობაში შევლენ:
 - 1.1. თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელი;
 - 1.2. იურისტი;
 - 1.3. ადამიანური რესურსების მენეჯერი;
 - 1.4. ადმინისტრაციული პერსონალის დისციპლინური საკითხის განხილვისას კანცლერი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დისციპლინური საკითხის განხილვისას პრორექტორი.
2. კომისია გადაწყვეტილება უნარიანია თუკი სხდომას ესწრება კომისიის წევრთა 1/2 მაინც.
3. კომისია, ყოველი სასწავლო წლის პირველ სხდომაზე, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. კომისიის წევრობის წინაპირობას წარმოადგენს შესაბამის აკადემიურ/ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნა.
4. კომისიის მუშაობის პროცესში, უნდა მოხდეს წესრიგის დამრღვევი თანამშრომლის მიერ პოზიციის დაფიქსირება ახსნა-განმარტებითი ბარათის საშუალებით, რომელიც შეინახება მისი პირად საქმეში.
5. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ფაქტის გამოსამიებელი აუცილებელი ინფორმაცია, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისგან. გაესაუბროს უნივერსიტეტის თანამშრომლებს დარღვევის ფაქტის თაობაზე.
6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
7. კომისიის სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრები სხდომაში მონაწილეობას ადასტურებენ სხდომაზე დასწრების ფურცლის შევსებით.

8. კომისიის თავმჯდომარე, გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, კომისიის გადაწყვეტილებას თანამშრომლის მიმართ სანქციის გამოყენების შესახებ, მოკვლევულ მასალებსა და შუამდგომლობასთან ერთად უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს.

9. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია დაეთანხმოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გასცეს ბრძანება დისციპლინური წარმოების გაგრძელებაზე ან უარი განაცხადოს თანამშრომლისათვის დისციპლინური სანქციის შეფარდებაზე.

10. თანამშრომლისათვის სანქციის შეფარდების შესახებ, გამოიცემა რექტორის აქტი, რომელიც გადაეცემა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, შესაბამისი მოქმედებების განსახორციელებლად.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის გაქარწყლება და მოხსნა

1. უნივერსიტეტის თანამშრომელი დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ ითვლება, თუ სანქციის შეფარდებიდან ერთი წლის ვადაში არ შეეფარდება ახალი სანქცია.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, თავისი ინიციატივით, უშუალო უფროსის წინადადების ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნის შესახებ გამოიცემა რექტორის აქტი, რომელიც შეიტანება თანამშრომლის პირად საქმეში.

მუხლი 10. დისციპლინური პასუხისმგებლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების წესი და ხანდაზმულობის ვადა

1. დასაქმებულ პირს დისციპლინური პასუხისმგებლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე, დისციპლინური დარღვევისათვის უნდა შეეფარდოს იმ დისციპლინურ სახდელზე უფრო მძიმე სახდელი, რომელიც მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების პერიოდში.

2. დისციპლინური სახდელი არ გამოიყენება, თუ გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 3 წელი.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსის პროექტი, ისევე, როგორც შემდგომი ცვლილებები და დამატებები, დამტკიცებამდე 2 კვირით ადრე, საჯარო გაცნობისათვის განთავსდება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე ან/და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
2. ეთიკისა და ქცევის კოდექსს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. კოდექსში ცვლილებები და დამატებები შეიტანება რექტორის ბრძანებით.